თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

სტომატოლოგიის ფაკულტეტი

დ ი პ ლ ო მ ი რ ე ბ უ ლ ი ს ტ ო მ ა ტ ო ლ ო გ ი ს

საგანმანათლებლო პროგრამა

(სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა)

თბილისი

პროგრამის დასახელება: დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი

პროგრამის მოცულობა: 300 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზნები:

დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და კონცეფცია სტრატეგიულად შეესაბამება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისიას, უზრუნველყოფს სწავლის, კვლევის და სამედიცინო/პრაქტიკული საქმიანობის ჰარმონიულ განხორციელებას, ეფუძნება ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პრინციპს და მიზნად ისახავს კვალიფიცირებული, კონკურენტუნარიანი, კომპეტენციური სპეციალისტის

_ დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადებას.

დიპლომირებულ სტომატოლოგს უნდა ჰქონდეს:

- დარგობრივ სფეროში თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების უნარი,
- დარგის მეთოდოლოგიისა და პროფესიული ეთიკის ცოდნა,
- ზოგადი უნარები:

ა) ანალიზისა, სინთეზის, პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, დროის დაგეგმვისა და ეფექტურად ორგანიზებისა (მეთოდოლოგიური უნარები).

ბ) კომუნიკაციისა მშობლიურ და უცხოურ ენებზე.

გ) საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა.

დ) ინტერდისციპლინურ ჯგუფში ეფექტური მუშაობისა (სოციალური უნარები).

ე) დამოუკიდებლად სწავლის, კვლევის, პროექტის შემუშავების, დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული საქმიანობის წარმართვისა (სისტემური უნარები).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია: სრული საშუალო განათლების ატესტატი, საქართველოს მოქალაქეებისათვის _ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი.

პროგრამის დასრულების შემდეგ მიღწეულ უნდა იქნას სწავლის შედეგი, რომელიც გამოიხატება კურსდამთავრებულის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით.

ზოგადი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება (აქვს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; გაცნობიერებული აქვს საკუთარი პროფესიული კომპეტენციის ფარგლები):

- აქვს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ–ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს სტომატოლოგის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს;

- იცის საკუთარი პროფესიის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ–პოლიტიკური ასპექტები;
- იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს სტომატოლოგის, როგორც სპეციალისტის დანიშნულება მასში;
- იცნობს უსაფრთხოების წესებს, გაცნობიერებული აქვს ინფექციის კონტროლის პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;
- იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს;
- იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;
- გაცნობიერებული აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების (,,სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში") აუცილებლობა;
- გაცნობიერებული აქვს სტომატოლოგის როლი ადამიანის ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში;
- აქვს მართვისა და ლიდერობის უნარი

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (შეუძლია მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვის, სათანადო დონეზე წარმართვისა და მზარდი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. უნარიშესწევსყოველმხრივად, სისტემატურადდა ზუსტად შეაფასოს პროფესიული დახმარების საჭიროება და უზრუნველყოს პაციენტის უსაფრთხოება.):

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

_ რუტინული სამედიცინო/სტომატოლოგიური გამოკვლევების ჩატარება, ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის ძირითადი პარამეტრების შესწავლა და შეფასება, ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევების ჩატარება, ვენეპუნქცია, კანქვეშ და კუნთში ინიექციის გაკეთება, წამლის ინტრავენურად შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება, კანზე და ლორწოვანზე ნაკერის დადება;

_ სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავება და გატარება;

_ პირის ღრუს ჰიგიენის რეკომენდაციების შემუშავება პაციენტის ასაკისა და სტომატოლოგიური სტატუსის გათვალისწინებით;

_ სტომატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის პროცესში საჭიროებისამებრ საანესთეზიო ნივთიერებათა სწორი შერჩევა და ანესთეზირება;

_ კბილთმკურნალობის პროცესში პრეპარირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, საბჟენ-სარესტავრაციო მასალათა შერჩევა და ჩვენების მიხედვით მათი სწორად გამოყენება;

– პაროდონტის დაავადებათა დიაგნოსტიკის, დიფერენციული დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდების შერჩევა;

_ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებათა კლინიკური, პარაკლინიკური და ლაბორატორიული ელემენტების იდენტიფიცირება, დიფერენცირება, დიაგნოზირება, მკურნალობის სქემის შედგენა;

– ყბა-სახის მიდამოს სხვადასხვა ეტიოლოგიის დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა;

_ ყბა-სახის მიდამოში ჭრილობების პირველადი დამუშავება და მოვლა;

_ სარძევე და მუდმივი კბილების ექსტრაგირება;

_ გადაუდებელი დახმარების ბლოკში ყბა-სახის მიდამოს მწვავე ტრავმის მქონე პაციენტთა მართვაში მონაწილეობა;

_ ორთოპედიულ პათოლოგიათა დიაგნოსტიკა, მკურნალობის გეგმის შედგენა, ორთოპედიული კონსტრუქციის შერჩევა;

_ თანკბილვის ანომალიათა დიაგნოსტიკა,მკურნალობისგეგმის შედგენა და შესაბამისი კონსტრუქციის აპარატის შერჩევაში მონაწილეობა;

_ პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს ონკოლოგიურ დაავადებათა დიფერენციულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობის ალგორითმის შედგენაში მონაწილეობა;

_პაციენტის და ექიმ-სტომატოლოგის უსაფრთხოების წესების დაცვა, დეონტოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება და სიტუაციის მართვა კომპეტენციის ფარგლებში.

დასკვნის უნარი (შეუძლია სპეციფიკური პრობლემის იდენტიფიკაცია, მისი გადაჭრის სარწმუნო, უსაფრთხო გზების ოპერატიული მოძიება და სათანადო დასკვნის გამოტანის შემდგომ, შესაბამისი ქმედება.) :

მიღებული ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებული შეძლებს დროულად ამოიცნოს დევიაციები, რისკები, პაციენტის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და სამედიცინო გუნდთან შეთანხმებით მიიღოს შესაბამისი ზომები ან, საჭიროების შემთხვევაში –იმოქმედოს ადეკვატურად;

კომუნიკაციის უნარი (შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია ცვლად პროფესიულ გარემოში. იგი იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს და შეუძლია ახალი ტექნოლოგიების ათვისება; შეუძლია სპეციფიკური პროფესიული ინფორმაციის მიღება, დამუშავება და სხვადასხვა გზით გადაცემა, როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე.):

მას უნარი შესწევს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვის და სოციალურ მუშაკებთან, პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან და სხვა ინდივიდებთან სამედიცინო/სტომატოლოგიური სერვისის ეფექტური უზრუნველყოფის მიზნით;

იგი ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშულებებს მშობლიურ და უცხოურ ენებზე წარმოებული ინფორმაციის მოპოვების, ასევე დამუშავების, შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში, გავრცელებისა და დემონსტრირების მიზნით;

იგი იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის, შენახვისთვის და დაცვისთვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემისა და გავრცელებისთვის; აღნიშნული კომპეტენცია მას შეუძლია განხორციელოს როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენებზე;

იგი წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით.

სწავლის უნარი (შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით):

შეუძლია განსაზღვროს საკუთარი ცოდნის ნაკლოვანება, საჭიროებები და პრიორიტეტები;

აცნობიერებს რა, რომ სწავლა უწყვეტი პროცესია , იყენებს ახალი ცოდნის მიღების ყველა შესაძლებლობას;დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების ყველა შესაძლებელი ფორმით აღწევს თავისი პროფესიული ცოდნის სრულყოფას და კარიერულ წინსვლას.

ღირებულებები (აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ღირებულებები, რომლითაც ხელმძღვანელობს ცვლად პროფესიულ გარემოში.):

მოქმედებს პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ლოკალური საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად;

მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას;

კრიტიკულადუდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში – ითვალისწინებს ადეკვატურ პროფესიულ შენიშვნებს და რეკომენდაციებს;

ობიექტურად აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.

დარგობრივი კომპეტენციები:

- ბაზისური სამედიცინო მეცნიერებების ცოდნა და დარგობრივ სფეროში მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარი
- დარგის მეთოდოლოგიისა და ეთიკის ცოდნა
- დარგობრივ სფეროში კომპლექსურიპრობლემის ამოცნობის იდენტიფიცირების და მისი გადაჭრის პრინციპები
- პაციენტის და ექიმ–სტომატოლოგის უსაფრთხოების წესების დაცვა, დეონტოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება და სიტუაციური მართვა კომპეტენციის ფარგლებში
- საბაზისო ცოდნიდან გამომდინარე მისი კომპეტენციისფარგლებში გადაუდებელი, მწვავე მდგომარეობის ამოცნობისა და შეფასების პრინციპები
- სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის ცოდნა და პრაქტიკულად გამოყენების უნარი
- პირის ღრუს ჰიგიენის რეკომენდაციის შემუშავება პაციენტთა ასაკისა და სტომატოლოგიური სტატუსის გათვალისწინებით
- კბილთა არაკარიესული დაზიანებების კლასიფიკაცია, დიაგნოსტირება, დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობის მეთოდების პრაქტიკულად გამოყენების უნარი
- სტომატოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის პროცესში საანესთეზიო ნივთიერებათა სწორი შერჩევა და ადეკვატური ანესთეზირების პრინციპები

- ბავშვთა და მოზარდთა თერაპიულ სტომატოლოგიაში სხვადასხვა ეტიოლოგიისა და პათოგენეზის დაავადებათა ასაკობრივი თავისებურებები, დაავადებათა კლასიფიკაცია, დიაგნოსტირება, დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები
- კარიესისა და მისი გართულებების კლასიფიკაცია, დიაგნოსტირება, დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები
- სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობა და მათი ადექვატური გამოყენების პრინციპები
- პირის ღრუს ლორწოვანი გარსისა და პაროდონტის ქსოვილის დაზიანებათა კლინიკური, პარაკლინიკური და ლაბორატორიული ელემენტების ამოცნობა. დაავადებათა კლასიფიკაცია, დიაგნოსტირება, დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები
- ქირურგიულ სტომატოლოგიასა და ყბა–სახის ქირურგიაში სხვადასხვა ეტიოლოგიისა და პათოგენეზის დაავადებათა კლასიფიკაცია, დიაგნოსტირება, დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები;
- იმპლანტოლოგიის საფუძვლები და ზოგადი პრინციპები სტომატოლოგიაში
- ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიულ სტომატოლოგიაში სხვადასხვა ეტიოლოგიისა და პათოგენეზის დაავადებათა კლასიფიკაცია, დიაგნოსტირება, დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები; გადაუდებელი დახმარების ბლოკში ყბა–სახის მიდამოს მწვავე ტრავმის მქონე პაციენტთა მართვა
- ორთოპედიულ სტომატოლოგიასა და ყბა–სახის ორთოპედიაში სხვადასხვა ეტიოლოგიისა და პათოგენეზის დაავადებათა კლასიფიკაცია, დიაგნოსტირება, დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობის პრინციპები; ორთოპედიულ პაციენტთა მართვა
- ორთოდონტიაში სხვადასხვა ეტიოლოგიისა და პათოგენეზის დაავადებათა კლასიფიკაცია, დიაგნოსტიკა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მკურნალობის პრინციპები
- პირის ღრუს, თავისა და კისრის ონკოდაავადებათა კლასიფიკაცია, დიაგნოსტირება, დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობის ალგორითმის შედგენა.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის კომპონენტები

კვლევაზე და ფაქტებზე დამყარებული პროგრამა შეესაბამება ქვეყნის ჯანდაცვის ეპიდემიოლოგიურ, დემოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტუალურ პრიორიტეტებს და მოიცავს შემდეგ აუცილებელ თვისობრივ კომპონენტებს:

- ზოგადსაგანმანათლებლო კურსების ბლოკი
- ფუნდამენტური სამედიცინო-ბიოლოგიური მეცნიერებების ბლოკი
- პროფესიული, ეთიკური და იურიდიული ასპექტები
- დაავადებათა ეტიოლოგიის,განვითარების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისდა პრევენციის პრინციპები

– დაავადებათა ეპიდემიოლოგია და მართვა
– კვლევითი უნარ–ჩვევები
– კომუნიკაციური უნარ–ჩვევები
– ინფორმაციის მართვა და საინფორმაციო ტექნოლოგიები

კომპონენტების შინაარსი

• ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების ციკლი: უცხოური ენები, ბიოეთიკა, მედიცინის ისტორია, სამედიცინო ლათინური ენა და ტერმინოლოგია, ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია.

• ფუნდამენტური სამედიცინო-ბიოლოგიური დისციპლინების ციკლი: სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა, სამედიცინო ქიმია, ადამიანის ანატომია, ციტოლოგია, ჰისტოლოგია, პარაზიტოლოგია, მიკრობიოლოგია, ბაქტერიოლოგია, სამედიცინო ბიოქიმია, ადამიანის ფიზიოლოგია, მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკა, ზოგადი ჰიგიენა, პათოლოგიური ანატომია, პათოფიზიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია, ტოპოგრაფიული ანატომია, სამედიცინო ფსიქოლოგია, ფარმაკოლოგია.

• კლინიკური დისციპლინების ციკლი: შინაგანი სნეულებანი, ზოგადი ქირურგია, კერძო ქირურგია, დერმატოვენეროლოგია, ნერვული სნეულებანი, თვალის სნეულებანი, პედიატრია, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებანი, უროლოგია, ინფექციური სნეულებანი, ფთიზიატრია, ჰემატოლოგია, ფსიქიატრია, რადიოლოგია, სასამართლო მედიცინა, ალერგოლოგია.

• სპეციალური კლინიკური დისციპლინების ციკლი: სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა, ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია, ბავშვთა და მოზარდთა პირის ღრუს ქირურგია, პაროდონტოლოგია(პრეკლინიკური და კლინიკური), პირის ღრუს ლორწოვანის დაავადებები, კლინიკური ოპერაციული ოდონტოლოგია, პირის ღრუს ქირურგია, ენდოდონტია (საფანტომო და კლინიკური), ბავშვთა და მოზარდთა პირის ღრუს და ყბა-სახის ქირურგია, ორთოდონტია, პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები ბავშვთა ასკში, ორთოპედიული სტომატოლოგია (საფანტომო და კლინიკური), პირის ღრუს, თავის და კისრის ონკოლოგია.

• კლინიკური ინტეგრაციის კურსი:

_ ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტია;

_ ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია,

• სტომატოლოგიურ დაავადებათა მენეჯმენტი, დაფინანსება და ეკონომიკა.

• სამხედრო მედიცინის პროფესიული საფუძვლების კურსი: საგანგებო სიტუაციების მართვა და მოსახლეობის უსაფრთხოება; გადაუდებელი და ორგანიზაციული მედიცინის ასპექტები საგანგებო და საბრძოლო მდგომარეობის დროს.

სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები

– სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. ისინი ფანტომებზე ითვისებენ პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს, მონაწილეობენ

კლინიკური შემთხვევათა განხილვაში, ესწრებიან ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ- ლაბორატორიულ მეცადინეობებს, ამუშავებენ რეფერატებს და აწყობენ პრეზენტაციებს, მონაწილეობენ დისკუსიებში.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება

სწავლა გამოცდილებით – მისი არსი მდგომარეობს დაბალ კურსებზე ფანტომების დახმარებით პრაქტიკული უნარ–ჩვევების ათვისებასა და გამოცდილების დაგროვებაში, ხოლო მაღალ კურსებზე - მის გამოყენებაში უპირატესად კლინიკური სწავლების პერიოდში.

იგი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

– კლინიკური პრაქტიკული გამოცდილება – აღწერა იმისა, თუ რა მოხდა;

– შეგრძნებები – ის, რასაც ფიქრობს და შეიგრძნობს სტუდენტი;

– შეფასება – რა არის კარგი და რა არის ცუდი მიღებულ გამოცდილებაში და დაგროვილ ინფორმაციაში;

– გამოცდილების ანალიზი – რატომ იყო ესა თუ ის გამოცდილება/ცოდნა კარგი ან ცუდი;

– დასკვნა – კიდევ რა შეეძლო გაეკეთებინა/არ გაეკეთებინა სტუდენტს შედეგის გასაუმჯობესებლად?

– შემდგომი პრაქტიკის სამოქმედო გეგმა – რას მოიმოქმედებს სტუდენტი მსგავსი სიტუაციის კვლავ აღმოცენების შემთხვევაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

პროგრამაში გამოიყენება ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (Fx) ვერ ჩაბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

– სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

– დასკვნით და შესაბამის საგანში დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება სტუდენტს ეძლევა:

ა) ძირითად სასესიო პერიოდში გამოცდაზე გაუსვლელობის შემთხვევაში, მიზეზის მიუხედავად,

ბ) ძირითად სასესიო პერიოდში შეფასების Fx მიღების შემთხვევაში.

–სასწავლო კურსის/დისციპლინის მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა, მათ შორის:

–შუალედური შეფასება (არის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების კომპონენტების ქულათა ჯამი) – 60 ქულა

– დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით

– დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ გამოცდაზე 24 და მეტი ქულის მიღების შემთხვევაში (მაქსიმალური შეფასების 60% და მეტი.)

– დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით მას შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა.

სისტემის საფუძველი:

- ბოლონიის პროცესი – ევროპული კრედიტ–სატრანსფერო სისტემა (ESTC)
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის #473 ბრძანება
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის #785 ბრძანება
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებები.

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები და მასწავლებლები .

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

საბაზისო საგნების შესასწავლად გამოიყენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სიმულაციური კლასები.

სტომატოლოგიის ფაკულტეტის არსენალში კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული სამი მაღალტექნოლოგიური კლინიკური ბაზაა:

- ა.ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა,
- თსსუ-ის N1 სტომატოლოგიური კლინიკა,
- თსსუ-ის N2 ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკა.

ამასთან, ა. ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში სწავლის საწყის ეტაპზევე სტუდენტებს საშუალება აქვთ სტომატოლოგიურ ფანტომებზე შეისწავლონ სხვადასხვა კლინიკური მანიპულაცია თუ ჩარევა.